

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2007 წლის 22 ივნისის N 5054 – II დადგენილებით

შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის
მთავრობას
შორის საერთაშორისო საავტომობილო
მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში „მხარეებად „წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა მხარეთა სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში – შემდგომში თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობით,

მიისწრაფვიან გააადვილონ საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის განხორციელება მხარეთა სახელმწიფოთა ტერიტორიებს შორის და მათ სახელმწიფო ტერიტორიებზე ტრანზიტით გავლისას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1
სფერო

1. მხარეები შეთანხმდნენ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე და მათი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ხელი შეუწყონ საავტომობილო მიმოსვლის სფეროში თანამშრომლობას, ორმხრივი და სატრანზიტო საავტომობილო სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთვო გადაზიდვების განვითარებას მხარეთა სახელმწიფოთა შორის და მათ სახელმწიფო ტერიტორიებზე ტრანზიტით გავლისას, ასევე მესამე ქვეყნებში ან მესამე ქვეყნიებიდან და ამ მიზნებისათვის განსაზღვრონ აღნიშნული გადაზიდვების განხორციელების წესი.

2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გადაზიდვები ხორციელდება ერთ–ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით (მათ შორის მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებებით) გზებზე, რომლებიც ღიაა საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის.

3. წინამდებარე შეთანხმება არ ზემოქმედებს მხარეების უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან.

მუხლი 2
განსაზღვრებები

წინამდებარე შეთანხმების დებულებების განმარტების მიზნით ქვემოთ

ჩამოთვლილი ტერმინები ნიშნავს:

1. „გადამზიდავი“ ნიშნავს ერთ–ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ქირით ან ანაზღაურების საფასურად ახორციელებს მგზავრების გადაყვანას, ტვირთის გადაზიდვას ან სხვა გადაზიდვებს.

2. „დაფუძნების ქვეყანა“ ნიშნავს მხარის სახელმწიფო ტერიტორიას, რომელზეც დაფუძნებულია გადამზიდაველი.

3. „კაბოტაჟი“ ნიშნავს მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის განხორციელებულ გადაზიდვას გადამზიდავის მიერ, რომელიც დაფუძნებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე.

4. „კომპეტენტური ორგანოები“:

– საქართველოს მხარისათვის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,

– ყაზახეთის მხარისათვის – ყაზახეთის რესპუბლიკის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო,

ზემოხსენებული კომპეტენტური ორგანოების დასახლებების ან ფუნქციების ცვლილებების შესახებ მხარეებს დროულად ეუწყებათ დიპლომატიური არხების საშუალებებით.

5. „მისაბმელი“ ნიშნავს უძრავ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობაში მოძრაობისათვის.

6. „ნახევარმისაბმელი“ ნიშნავს მისაბმელს, რომელიც სატრანსპორტო საშუალებაზე იმგვარად არის მიერთებული, რომ მისი წინა ნაწილი ეყრდნობა მას და მასში მოთავსებული ტვირთის წონის გარკვეული ნაწილი მოდის სატრანსპორტო საშუალებაზე.

7. „ნებართვა“ ნიშნავს გარკვეული ვადით გაცემულ დოკუმენტს, რომელიც მის მფლობელს აძლევს უფლებას განახორციელოს სამგზავრო გადაყვანები (შესვლა და გამოსვლა) მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

8. „რეგისტრაცია“ ნიშნავს მხარის სახელმწიფოში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ სატრანსპორტო საშუალებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას. სატრანსპორტო საშუალებათა კომბინაციის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს პრიორიტეტულ ფაქტორს ნებართვების გაცემისას ან მათგან განთავისუფლებისას.

9. „რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა“ ნიშნავს მგზავრების გადაყვანას, განხორციელებულს გარკვეული რეგულირებით და წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით, მგზავრების ჩასხდომა–გადმოსხდომისათვის განკუთვნილი გაჩერების პუნქტების მითითებით, მარშრუტზე ავტობუსების მოძრაობის განრიგით და ტარიფებით.

10. „არარეგულარული სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა“ ნიშნავს სამგზავრო გადაყვანას, რომლის განხორციელების პირობები განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შემკვეთისა და გადამზიდავს შორის.

11. „სატრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას:

a) ცალკე აღებულს ან სატრანსპორტო საშუალებათა კომბინაციას;

b) განკუთვნილს მგზავრების გადასაყვანად (რომელიც კოსტრუირებულია და განკუთვნილია ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად, მძლოლის ჩათვლით – ავტობუსი) და ტვირთების გადაზიდვისათვის, რომელიც იმყოფება გადამზიდველის განკარგვაში მისი საკუთრების სახით, ქირავნობის ან ლიზინგის კონტრაქტის ძალით;

c) მსუბუქი ავტომობილები.

12. “ტრანზიტი” ნიშნავს ტვირთის გადაზიდვას (დატვირთვის ან გადმოტვირთვის გარეშე) და მგზავრების გადაყვანას (ჩასხდომასა და გადმოსხდომის გარეშე) ერთი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე დაფუძნებული გადამზიდვების მიერ, მეორე მხარის სახელმწიფო ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყანაში ან პირიქით.

მუხლი 3

საერთო დებულებები

1. მხარეთა სატრანსპორტო საშუალებების მძლოლებს უნდა გააჩნდეთ იმ სატრანსპორტო საშუალებების შესაბამისი კატეგორიის ეროვნული ან საერთაშორისო მძლოლის მოწმობები, პრომლებსაც ისინი მართავენ.

2. ნებართვა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვება წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, თან უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების მძლოლს და მოთვხოვნისთანავე უნდა წარუდგინოს მხარეების სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედ კომპეტენტურ ორგანოებს.

3. მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე, ხორციელდება მესამე პირების მიმართ მიყენებული ზარალისათვის სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პირობით. გადამზიდავი ვალდებულია წინასწარ დააზღვიოს სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ასრულებს ზემოაღნიშნულ გადაზიდვებს.

4. სასაზღვრო – სატრანსპორტო, სანიტარულ–საკარანტინო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული კონტროლი და საბაჟო გაფორმების ჩატარება იმ პირების გადაყვანისას, რომლებსაც ესაჭიროებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, აგრეთვე ცხოველების და მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვისას ხორციელდება ურიგოდ.

5. წინამდებარე შეთანხმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მხარეების სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ახდენენ ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, მათი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის ყოველგვარი ცვლილების შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს წინამდებარე შეთანხმების რეალიზაციაზე.

მუხლი 4

რეგულარული სამგზავრო გადაყვანა

1. რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა ხორციელდება ნებართვების საფუძველზე.

2. რეგულარული სატრანზიტო სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა არ საჭიროებს ნებართვას.

3. ნებართვა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განსახორციელებლად გაიცემა განაცხადის საფუძველზე, რომელიც მხარის გადამზიდველის მიერ ეგზავნება მისი რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს მხარის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და შემდეგი საბუთების თანხლებით:

a) რეგულარული მარშრუტის სქემა;

b) ავტობუსის (ავტობუსების) რეგულარულ მარშრუტზე მოძრაობის განრიგი, სადაც მითითებული იქნება:

b-a) საწყისი, შუალედური და საბოლოო გაჩერების პუნქტები, ასევე სახელმწიფოების საზღვრების საავტომობილო გამშვებ პუნქტებზე ავტობუსის (ავტობუსების) მიმოსვლის მარშრუტზე;

b-b) ხელშემკრველი მხარის საზღვრების საავტომობილო გამშვებ და გასაჩერებელ პუნქტებზე ავტობუსის (ავტობუსების) მოსვლის, გაჩერებისა და გასვლის დრო;

b-c) მანძილი პირდაპირი მიმართულებით რეგულარული მარშრუტების საწყისი და საბოლოო პუნქტებს შორის;

b-d) გადამზიდავების მიერ განხორციელებული რეისების რეგულარობა და პერიოდულობა;

b-e) მგზავრის გადაყვანის ტარიფები გადამზიდავის დაფუძნების ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში.

4. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ერთი მხარის კომპეტენტური ორგანო, 10 დღის ვადაში, უგზავნის სანებართვო დოკუმენტებს მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

5. განმცხადებელს 10 დღის ვადაში წერილობით შეიძლება ეთქვას უარი ნებართვაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა ეწინააღმდეგება ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობას.

6. მგზავრების გადაყვანაზე მოთხოვნის არარსებობის ან არასაკმარისი მოთხოვნის შემთხვევაში, გადამზიდაველმა ნებართვის გაუქმების თაობაზე წერილობით უნდა აცნობოს თავისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, გადამზიდავების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე.

7. იმ გადამზიდაველს დაფუძნების ქვეყნის კომპეტენტური ორგანო, რომელმაც უარი განაცხადა სამგზავრო გადაყვანების განხორციელებაზე, ერთი თვის განაცხადი სამგზავრო გადაყვანების განხორციელებაზე, ერთი თვის განმავლობაში წარუდგენს ინფორმაციას მეორე მხარის კომპეტენტურ ორგანოს.

8. ნებართვა არის პერსონალური და მისი გადაცემა სხვა

გადამზიდველისათვის ან მესამე მხარისათვის აკრძალულია.

მუხლი 5

არარეგულარული სამგზავრო გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა

1. წინამდებარე შეთანხმების თანახმად, არარეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს და ბარგის გადაზიდვებს არ ესაჭიროება ნებართვა.

ნებართვა არ არის საჭირო ასევე:

a) დაზიანებული სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების შეცვლისას;

b) სატრანსპორტო საშუალების დაუტვირთავი გარბენით, რომელიც მიემგზავრება მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ასევე სხვა სახელმწიფოში მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალების შესაცვლელად, ასევე მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალების უკანა გარბენი შეკეთების შემდეგ;

c) როგორც მხარის, ასევე ნებისმიერი ქვეყნის შესაბამისი უწყებების მიერ გაცემული საექსპორტო სარეგისტრაციო ნომრით აღჭურვილი ახლად შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების (ახალი ან მეორადი მოხმარების) პირველი გარბენით, თუ ეს გარბენი მიმართულია ამ ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარისაკენ, სადაც უნდა მოხდეს ამ სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია.

d) სატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებიც განკუთვნილია სამაშველო ან აღდგენითი სამუშაოების განსახორციელებლად.

2. არარეგულარული სამგზავრო გადაყვანები და ბარგის გადაზიდვა უნდა ხორციელდებოდეს საკონტროლო საბუთების თანხლებით (მგზავრთა სია).

3. არარეგულარული სამგზავრო გადაყვანის და ბარგის გადაზიდვის განმავლობაში მგზავრების აყვანა აკრძალულია (საკონტროლო საბუთებში მითითებულ მგზავრების გარდა).

მუხლი 6

სატვირთო გადაზიდვები

ტვირთების გადაზიდვა ორმხრივ ან სატრანზიტო მიმოსვლაში და ასევე მესამე სახელმწიფოებში, ან მესამე სახელმწიფოებიდან, ხორციელდება უნებართვოდ.

მუხლი 7

სატვირთო გადაზიდვების განხორციელების წესი

1. წინამდებარე შეთანხმების თანახმად, სატვირთო გადაზიდვა უნდა შესრულდეს მხოლოდ იმ გადამზიდავის მიერ, რომელიც თავისი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად დაშვებული არის საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებლად.

2. სატრანსპორტო საშუალებების, რომლებითაც ხორციელდება საერთაშორისო

გადაზიდვა, უნდა ჰქონდეთ თავისი სახელმწიფოს სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები. მისაბმელებს და ნახევარმისაბმელებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა სახელმწიფოს სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები იმ პირობით, რომ სატვირთო ავტომობილს ან ავტომობილ-საწევარს ექნება წინამდებარე შეთანხმების მხარეების სახელმწიფოების სარეგისტრაციო და განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 8 წონები და გაბარიტები

1. სატრანსპორტო საშუალების წონა, ღერძული დატვირთვის ჩათვლით და გაბარიტები უნდა შესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალების ოფიციალურად რეგისტრირებულ მაჩვენებელს და არ უნდა აჭარბებდეს მიმღები ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ შეზღუდვებს.

2. მიმღები მხარის ეროვნული კანონმდებლობით წონაზე, ღერძულ დატვირთვაზე და გაბარიტებზე გათვალისწინებული შეზღუდვების გადაჭარბების შემთხვევაში, აუცილებელია გადამზიდველს ჰქონდეს სპეციალური ნებართვა ან რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია ამ მხარის შესაბამისი უწყების მიერ.

მუხლი 9 სახიფათო ტვირთების გადაზიდვა

სახიფათო ტვირთების გადაზიდვა ხორციელდება მხარეთა სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10 კაბოტაჟი

კაბოტაჟი აკრძალულია.

მუხლი 11 გადასახადები და მოსაკრებლები

1. სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის მსუბუქი ავტომობილები, რეგისტრირებულნი ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვას წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე თავისუფლდებიან საერთო სარგებლობის გზების გამოყენებისათვის დაწესებული გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან, ისევე როგორც ყველა სპეციალური მოსაკრებლისაგან და ბეგარისაგან, რომელიც დადგენილია მიმღები მხარის ეროვნული კანონმდებლობით, გარდა:

a) მოსაკრებლებისა, რომლებიც განსაზღვრულია ფასიანი გზების

ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის (გზებით, ხიდებით და გვირაბებით სარგებლობის ბაჟი) ალტერნატიული უფასო გზების არსებობისას;

b) სატრანსპორტო საშუალების წონაზე, გაბარიტებზე ან დატვირთვაზე იმ მხარის ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული მოსაკრებლებისა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება გადაზიდვა.

2. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გადაზიდვების განხორციელებისას ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან თავისუფლდება მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეტანილი შემდეგი მასალები.

a) საწვავი, მოთავსებული სატრანსპორტო საშუალების სტანდარტულ, მწარმოებლის მიერ დამონტაჟებულ ავზებში,

b) საცხებ-საპოხი მასალები, იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის გადაზიდვის განხორციელებისას,

c) სათადარიგო ნაწილები და ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმდინარე რემონტისათვის ან აუცილებელია მეორე მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე მყოფი დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების რემონტისათვის.

3. ინსტრუმენტები და გამოყენებელი სათადარიგო ნაწილები ექვემდებარება მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან გამოტანას. შეცვლილი სათადარიგო ნაწილები ასევე ექვემდებარება გამოტანას ან განადგურებას შესაბამისი მხარის საბაჟო ორგანოების ზედამხედველობით.

მუხლი 12 **იურისდიქცია**

1. მხარეთა სახელმწიფოების გადამზიდველები და მათი ეკიპაჟები მოვალენი არიან მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისას დაიცვან მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ:

a) იმ საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რომლის მონაწილეებიც არიან სახელმწიფოები;

b) წინამდებარე შეთანხმებიდან;

c) იმ ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობიდან, რომლის ტერიტორიაზეც ისინი იმყოფებიან.

2. ეროვნულობისა ან დაფუძნების ადგილის მიხედვით დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული კანონები და საერთაშორისო შეთანხმებები თანაბრად ვრცელდება ორივე ქვეყნის გადამზიდველებზე.

მუხლი 13 **შერეული კომისია**

1. მხარეების კომპეტენტური ორგანოები ქმნიან შერეულ კომისიას, რათა უზრუნველყონ:

a) წინამდებარე შეთანხმების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა;

b) წინამდებარე შეთანხმების შესრულების შედეგებისა და საავტომობილო გადაყვანა-გადაზიდვების განვითარების შესახებ წინადადებების განხილვა;

c) წინამდებარე შეთანხმების ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადებების მომზადება.

2. შერეული კომისია იკრიბება ერთ-ერთი მხარის კომპეტენტური ორგანოს თხოვნით, მხარეების სახელმწიფოს ტერიტორიაზე მონაცვლეობით.

მუხლი 14

დავების და უთანხმოებების გადაწყვეტა

წინამდებარე შეთანხმების დებულებების გამოყენებისა და განმარტების დროს დავისა და უთანხმოების წარმოქმნის შემთხვევაში ხელშემკვრელი მხარეების მიერ გადაწყვეტილება მიიღება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 15

ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე შეთანხმებაში, მხარეთა თანხმობით, შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც ფორმდება ცალკეული ოქმების სახით და წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების მე-16 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 16

ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

2. წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.

3. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია გადაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება წინამდებარე შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე, ამ შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების მოქმედება შეწყდება მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 6(ექვსი) თვის შემდეგ თუ ამ ვადის გასვლამდე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არ განხორციელდა შეტყობინების უკან გამოთხოვა.

4. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1993 წლის 1 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმება “საქართველოს

რესპუბლიკის მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ”.

შესრულებულია ე. ასტანა. 2007 წლის 6 მარტი, ორ პირად, თითოეული ქართულ, ყაზახურ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. წინამდებარე შეთანხმების დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული უთანხმოების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის
სახელით

ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის
სახელით